ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5789581

ნომერი: AR1875896

თარიღი : 02.02.2022

გაცემის თარიღი : 04.02.2022

გაცნობის თარიღი : 04.02.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 52;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ზურაშვილი პ/ნ 01008033359
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. IV კვ. კორ. 5 ბ. 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N52-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის (კარის ღიობის გამოჭრა) საკითხს. პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N 14–39 დადგენილების, 29-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, დ ქვეპუნქტის თანახმად ,,დაუშვებელია ერთი შენობის განთავსება ერთზე მეტ მიწის ნაკვეთზე''.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან პროექტის მიხედვით ხორციელდება კლინიკის გაფართოება მომიჯნავე საკადასტრო ნაკვეთზე განთავსებული შენობების ათვისების ხარჯზე და ხდება ერთმანეთთან ორ საკადასტრო ერთელზე განთავსებული შენობების დაკავშირება, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N52-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.